



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 44
30/01/2019

44-09-4-201901301220



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში, რიყეთის თემში შ.პ.ს „ელტური-2008“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 01. 34. 246) სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „ელტური-2008“-ის №11308/09 განცხადებაზე ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 01. 34. 246) სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 28 -ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესათანხმებლად გადაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (კორესპოდენცია №09/179; 14.01.2019 წ.), როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საიდანაც მოსულია თანხმობის წერილი (კორესპოდენცია №01-01-10/361; 25.01.2019 წ. მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის №804/09; 25.01.2019 წ.) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის №01-01-3/33 ბრძანება.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შ.პ.ს „ელტური-2008“-ის მოთხოვნა და შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 01. 34. 246) სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII და მე-X-ე თავების, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2019 წლის 25 იანვრის №143-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს შ.პ.ს „ელტური-2008“-ის მოთხოვნა და შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში, რიყეთის თემში მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 01. 34. 246) სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი.;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ჩაბარება;
- 3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა №5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ბერიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

